



მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულება №8  
2021 წლის 05 მარტი  
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის  
რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №11 დადგენილების 55-ე მუხლის თანახმად

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:  
დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;  
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.  
/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია